პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

4

1990 იანვარი ხუთშაბათი

№2 (6229)

ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

1989 ᲬᲚᲘᲡ 27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცაგერის რაიკომის პლენუმი დღის წესრიგით:

1. ორგანიზაციული საკითხი.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების შესახებ ცაგერის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

პლენუმმა ფარული კენჭისყრის შედეგად ორი კანდიდატურიდან საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ აირჩია ლალი დავითის ასული ხვადაგიანი, რომელიც მუშაობდა საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად.

პლენუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების შესახებ, რომელზედაც ინფორმაცია გააკეთა კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კვირკაშვილმა.

პლენუმზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კომკავშირის რაიონული ორგანიზაციისაგან დასახელებულ იქნა ორი კანდიდატურა. ფარული კენჭისყრით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად №201 საარჩევნო ოლქში ცაგერის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციისაგან დასახელებულ იქნა ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი-პედიატრი, კომკავშირელი ნინო ალექსანდრეს ასული ახვლედიანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ რ. სილაგაძემ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲗᲘᲐᲜ

დაიწყო 1990 წელი. გასული წელი ისტორიის კუთვნილება გახდა. სწორედ ორი წლის მიჯნაზე ყველგან ჯამდება შედეგები, ისახება ახალი წლის ამოცანები.

30 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში მოეწყო შეხვედრა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. გუგავამ შეკრებილთ მიულოცა დამდეგი ახალი წელი, უსურვა ბედნიერება, წინსვლა და წარმატებები საქმიანობაში ჩვენი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

80-ანი წლების უკანასკნელი 1989 წელიც მიიწურა,—აღნიშნა ე. კ. გუგავამ — კაცობრიობამ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის ზღურბლზე გადააბიჯა და ახლა, როცა თვალს ვავლებთ განვლილ გზას, შეიძლება ითქვას, რომ იგი აღსავსე იყო საერთაშორისო ყოფიერებისა და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1989 წელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული მონაკვეთია, და მაინც ეს წელი ქართული სულის გამოღვიძებისა და აღზევების წელი იყო, როგორც ერთ-ერთ გამოვლინებად მიმაჩნია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ახლახან დამთავრებული მეორე ყრილობაც.

ერთი სიტყვით, მიმავალ წელს დაითესა მარცვალი, რომელიც უდავოდ იხარებს და აღმოცენდება.

ჩვენ შეგვიძლია იმედის თვალით შევცქეროდეთ ხვალინდელ დღეს, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩვენს გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებანი, შეუპოვრობისა და სიმტკიცის რაოდენ დიდ კონცენტრაციასაც არ უნდა მოითხოვდნენ ისინი,—ჩვენს ქვეყანას ხელეწიფება ზიდოს ეს ტვირთი. მას შეუძლია და უნდა გაშალოს კიდეც თავისი ვეება მხრები, ჰპოვოს საკუთარ თავში მეტი სიმტკიცე.

მიმავალი წელი საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ძვრების წელი გახდა. უკვე გამოაქვს ნაყოფი ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას. 1988 წელს ევროპის საერთო სახლის იდეა ბევრს ერთგვარი უტოპია ეგონა. მიმდინარე წლის მიწურულში კი ამას უკვე რეალურ პერსპექტივად მიიჩნევენ: წარსულს ბარდება კონტინენტის ომისშემდგომი გათიშვა.

განვლილი წელი გახდა „ცივი ომის“ დამთავრების წელი. 90-იან წლებს ცივილიზაციის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი ხანის პირი უჩანს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ მსოფლიოს, ისევე როგორც ჩვენს ქვეყანას, ესაჭიროება სოლიდარობა, თანამშრომლობა, თანხმობა.

რევოლუციური განახლების ზვირთებმა გადაუარა აღმოსავლეთ ევროპას, ბერლინსა და სოფიაში, პრაღასა და ბუქარესტში მომხდარმა დრამატულმა ამბებმა კვლავ უდიდესი ძალით დაადასტურეს, რაოდენ საჭირო ყოფილა სოციალიზმის დემოკრატიასთან შეერთება. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მეგობრებს ამ გზაზე. მათ მუდამ შეუძლიათ იქონიონ ჩვენი სოლიდარობის იმედი.

დგება 1990 წელი —დიდი იმედების, სოციალიზმის რევოლუციური გარდაქმნის პრაქტიკული ქმედების წელი. ახალ წელს ჩვენ გვმართებს შეუპოვრობა და სიმტკიცე ჩვენს რევოლუციურ მუშაობაში, გარდაქმნისათვის მებრძოლი მთელი ძალების გაერთიანებაში. ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს გონიერებასა და სიკეთეს, მოთმინებას და შემწყნარებლობას, იმ მთავარ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ყოველ ადამიანს ახასიათებს.

ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტად უნიკალური შესაძლებლობანი: უმდიდრესი ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალი, უდიდესი ბუნებრივი რესურსები. თუ ჯეროვნად გამოვიყენებთ მათ, ჩვენ შევძლებთ გარდავტეხოთ და უნდა გარდავტეხოთ 1990 წელს სიტუაცია უკეთესობისაკენ. მაგრამ ამისათვის ჩვენ ყველას გვმართებს კარგად, ნამუსიანად გავისარჯოთ.

მოგმართავთ რა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თითქოს ვხედავ, რომ ახლა ტელევიზორებთან კრემლის კურანტების ჩამოკვრის მოლოდინში შეკრებილა საბჭოთა კავშირის მოსახლე ყველა ეროვნების მილიონობით ადამიანი—ქალები, ბავშვები და მამაკაცები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებსაც თავ-თავიანთი ინტერესები და მიდრეკილებანი, სამომავლო გეგმები და იმედები აქვთ.

ახალი წლის დამდეგს ყველაზე მეტად მინდა ვისურვო, რომ მან ჩაიაროს ურთიერთგაგებისა და კონსოლიდაციის ნიშნით, რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ყოველ ჩვენგანს.

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო!

გისურვებთ ბედნიერებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას!

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ, ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ⲙ. Ⲥ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

იწურება 1989 წლის უკანასკნელი წუთები, ამასთან ერთად ისტორიას ბარდება მთელი ათწლეული... ჩვენ გადავდივართ 90-იან წლებში—XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში.

ასეთ წუთებში თითქოს ხელახლა განვიცდით ყოველივეს, რაც თავს გადაგვხდენია. და იმედიანად შევყურებთ მომავალს. არც ერთი ადამიანი, რომელიც თავს მამულიშვილად გრძნობს და რაცხს, არ გამოჰყოფს თავის ბედს მამულის ბედისაგან. რომელი მხრითაც უნდა მოგვიბრუნდეს ჩვენ და ჩვენიანებს დრო —სასიხარულო თუ მწარე მხრით,—ყოველი ადამიანი ცდილობს თავისი მხარი შეაშველოს ტვირთს, რომელიც მთელ ქვეყანას აკისრია.

უკან დაგვრჩა ქვეყნის ცხოვრების განსაკუთრებული წელი—მე ვიტყოდი,—1985 წლის აპრილში დაწყებული გარდაქმნის ყველაზე ძნელი წელი. ძნელია, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ უშუალოდ წავაწყდით მთელ რიგ უმწვავეს პრობლემებს. უაღრესად დაძაბულად, რთულად მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმა, გამწვავდა სიტუაცია სამომხმარებლო ბაზარზე. ჩვენ პირველად განვიცადეთ მასობრივი გაფიცვები და მათთან დაკავშირებული მძიმე დარღვევები სახალხო მეურნეობაში. გვაკლია წესრიგი და დისციპლინა. მთელი წლის მანძილზე გვაშფოთებდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებით გამოწვეული წუხილი.

მიმავალი წელი ძნელი იყო იმიტომაც, რომ ჩვენ უშუალოდ შევუდექით ახალი, უჩვეულო და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტას. ამან კი ყოველი ჩვენგანის მორალური, სულიერი და ფიზიკური ძალების უდიდესი დაძაბვა მოითხოვა.

და მაინც, რაოდენ ძნელიც უნდა ყოფილიყო ჩვენთვის 1989 წელი, ჩვენ მას ვაცილებთ არა მარტო გულისტკივილის გრძნობით, არამედ აგრეთვე როგორც დიდი და ყოველი ჩვენგანისათვის უაღრესად საჭირო მუშაობით აღსავსე წელს. ქვეყანა ცხოვრობდა და მუშაობდა, გარდაიქმნებოდა, გამოდიოდა ახალ გზაზე.

განვლილ წელს მოხდა გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენები, რომელთა შედეგი ჯერაც არ წარმოჩენილა სრულად. 1989 წელი გახდა საბჭოთა ისტორიის რამდენიმე ათწლეულის მანძილზე პირველი ნამდვილად თავისუფალი არჩევნების წელი, სახალხო დეპუტატთა პირველი და მეორე ყრილობების წელი; საპარლამენტო გამოცდილების შეძენის, ხალხის დემოკრატიული კულტურის მკვეთრი ზრდის წელი. მიღებულია და უკვე მოქმედებს მომავლის სასიკეთოდ დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. შემუშავებულია და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი კანონპროექტები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტური საფუძვლების გარდაქმნას ეხება.

1989 წელი—ეს იყო ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის დაცხრობის ეფექტიან ღონისძიებათა ინტენსიური ძიების წელი. სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ დაამტკიცა მთავრობის პროგრამა, რომლის მიზანია გააუმჯობესოს მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე, გააჯანსაღოს ქვეყნის სახალხო მეურნეობა, გადაგვიყვანოს უფრო ეფექტიან, მოქნილ, ადამიანის სასიკეთოდ ორიენტირებულ ეკონომიკაზე.

და კიდევ ერთი რამ. ყველა სირთულეს, პოლიტიკური ვნებათაღელვის მიუხედავად, რითაც ესოდენ გამოირჩეოდა 1989 წელი, საზოგადოებაში ძლიერდება იმის შეგნება, რომ აუცილებელია დიალოგი, ურთიერთგაგება, სხვადასხვა პოზიციების პატივისცემა, ორმხრივ მისაღებ გადაწყვეტილებათა ძიება. ქვეყანაში გაჩაღებული კონსტრუქციული დიალოგის

ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ახალი წელი—

კონკრეტულ საქმეთა წელი!

დღეისათვის შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება სახალხო კონტროლის ორგანოებისაგან მეტ ორგანიზებულობასა და სიზუსტეს, არსებული რეზერვებისა და ძალების მაქსიმალურ მობილიზებას, მიმდინარე საპასუხისმგებლო და რთული ამოცანების გადაწყვეტისადმი ახალ მიდგომას, შემოქმედებით ძიებას საჭიროებს.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა რაიონში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკასო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების მიზნით, ნაკლოვანებების, ხარვეზების, თვალისახვევების აღკვეთისათვის. გასული წლინახევრის მანძილზე წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საქმისადმი არამეურნეობრივი მიდგომითა და სხვადასხვა სახის დარღვევებით გამოვლინებულ იქნა თანხით 62,0 ათას მანეთზე მეტი ზარალი, რის გამოც 20 თანამდებობის პირზე მოხდა ფულადი თანხების დარიცხვა ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით. მკაცრად დაისაჯა 59 კაცი, თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა 1, პროკურატურას გადაეცა 1 საქმე.

რაიონულმა კომიტეტმა აღნიშნულ პერიოდში შეისწავლა 93 საკითხი, მათგან კომიტეტის სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა 65. ერთი შეხედვით, შესწავლილ და განხილულ საკითხთა რაოდენობა არც თუ ისე ცოტაა, არც თუ ისე ცოტაა დასჯილ თანამდებობის პირთა რაოდენობაც, გამოდის, რომ ამ სტატისტიკური მონაცემებით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს, მაგრამ დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად იგი სრულიად არასაკმარისია და ამას თვალნათლივ ვხედავთ. აქ იმის თქმაც მინდა, რომ მუშაობის ჩვენი სტილი და მეთოდები არ გვაძლევს სამეურნეო საქმიანობის სრული გაჯანსაღების გარანტიას. ჩემის აზრით, გამოსავალი ერთია—ადგილებზე, თვით შრომით კოლექტივებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში უნდა შეიცვალოს სამეურნეო მექანიზმის, მატერიალურ ფასეულობათა საკუთრების ფორმა და შინაარსი, გააქტიურდეს ადგილებზე სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობა.

ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის შესაბამისად არაერთხელ განვიხილეთ საკითხები სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჯერ კიდევ ნელი ტემპით მცირდება დებიტორული დავალიანებანი, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფო სატყეო მეურნეობის, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, სარემონტო კანტორის, კომუნალური მეურნეობის და სხვათა დებიტორების შესახებ.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების დაგვიანებით გაცემა ზოგიერთმა წარმოება-დაწესებულებამ უკვე ტრადიციად აქცია, მიუხედავად პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის არაერთი ჩარევისა, მიზეზი ძირითადად ერთია—ანგარიშზე არ აქვთ თანხა. აქ რადიკალური ზომებია საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი წარმოადგენს ადამიანთა უფლებების შელახვას.

არასახარბიელო მდგომარეობაა სახელმწიფოს მიერ დაშვებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გამოყენების საქმეში. დღეისათვის რაიონს ერიცხება 13,300 ათასი მანეთის მოკლევადიანი, ხოლო 8.465 ათასი მანეთის გრძელვადიანი სესხი. აქედან 425 ათასი მანეთი ვადაგადაცილებულია. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვთ ამ მიმართებით რკინა-ბეტონის პოლიგონს, მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოსა და სასურსათო კომბინატს, რომლებსაც შესაბამისად ერიცხებათ 35 ათასი, 22 ათასი და 367 ათასი მანეთის გრძელვადიანი ვადაგადაცილებული სესხები. ზემოთაღნიშნული ფინანსური მდგომარეობის გამო ძნელია ჯერ ილაპარაკო რაიმე ეტაპებსა და საფეხურებზე რეგიონალურ თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფულის მიმოქცევის ნორმალიზაცია და მისი გაჯანსაღება, ამის მთავარი პირობა გახლავთ ნაღდი ფულის შემოტანების ზრდა, ამ საქმეში სხვებთან ერთად გარკვეული როლი უნდა შეასრულონ რაიონში შექმნილმა კოოპერატივებმა, რომელთა რაოდენობა (მოქმედზეა ლაპარაკი) 21-ს აღწევს.

ცხოვრება სიახლეებს, მეგ პასუხისმგებლობას მოითხოვს

მეოთხე წელია ტვიშის სააფთიაქო პუნქტის გამგედ მუშაობს მანანა ბანძელაძე. ქუთაისელი გოგონა არ უშინდება სოფლის პირობებს და ქალაქში დაბრუნებაზე არ გაურბის თვალი. კარგი სპეციალისტი, გულისხმიერი მუშაკი — ასე ახასიათებენ ტვიშელები მანანას.

სურათზე: მანანა ბანძელაძე.

ზ. გზოგბავას ფოტო.

ახალ ფასებში ნაკლოვანებებია. ეს ფასები ბევრ ადგილას ადამიანებს ეზარებიან, ეზარებიან ბაზარზე ასვლა, ეზარებიან ბაზარზე ასვლა, ეზარებიან ბაზარზე ასვლა

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობიდან

ქართველთა და ოსთა კავშირურთიერთობა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს. ქართველი და ალან-ოსი ხალხების პირველი შეხვედრა მეხუთე საუკუნეში მოხდა ვახტანგ გორგასალის დროს. ეს ის პერიოდია, როცა ბარი იპყრობს კავკასიის მთიანეთს და ვახტანგმაც ხრმოლით დაიმორჩილა ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ურჩი ჩერქეზები, ოსები და სხვა ტომები. ეს პროცესი ნათლად და რეალურად აისახა არა მარტო წერილობით წყაროებში, არამედ ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც. აი, ამის მაგალითიც:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკვა,
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა
მთებმა იწყო დრეკა,
ოსეთი გადაიარა, ჩერქეზეთი
გადარეკა“...

ეს ხალხური ლექსი კარგად ასახავს მაშინდელ ისტორიულ სინამდვილეს და წერილობითი და სხვა სახის წყაროების სისწორეს ადასტურებს. აი, ამ სტროფებით დასტურდება პირველი ის, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებს ესაზღვრებოდნენ, მეორე ის, რომ ვახტანგმა ოსეთი დაიმორჩილა, ამასთან დაიმეგობრა, მესამე ის, რომ ურჩი ჩერქეზები განდევნა ოსთა საზღვრებიდან და სხვა.

ამის შემდეგ ოს და ქართველ ხალხთა მეგობრობა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და გრძელდება. ცნობილია, რომ თამარ მეფის მეორე ქმარი ოსი დავით სოსლანი გახლდათ, მაჰმადიანურ სამყაროსთან შამქორის და ბასიანის დიდი ომების გმირი, სარდალი. არის ცნობები, რომ შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში ქართველების მხარდამხარ ოსთა რაზმებიც იბრძოდნენ.

ძველად ალანიად წოდებული ქვეყანა მდებარეობდა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში, დღევანდელი ჩერქეზეთის მოსაზღვრედ დასავლეთის მხრიდან, ხოლო სამხრეთით მას სვანეთისაგან გამოყოფდა კავკასიის მთავარი მთაგრეხილი. დღეს სხვა მასალებთან ერთად აქ ოსთა უძველეს დასახლებას ადასტურებს ამ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი უამრავი ტოპონიმური მასალებიც.

შემდეგ ეს ტომები თანდათანობით ალმოსავლეთით ინაცვლებენ და საბოლოოდ დამკვიდრდნენ ჩრდილო ოსეთის დღევანდელ ტერიტორიაზე, ხოლო მე-17-მე-18 საუკუნეებში ოსთა ცალკეულმა ჯგუფებმა და გვარებმა იწყეს ჩამოსახლება საქართველოს მთიანეთში, საქართველოს მეფეები მათ წინააღმდეგობას არ უწევდნენ.

ეს ხანა იყო საქართველოს ისტორიაში უმძიმესი პერიოდი, ქვეყანა დაშლილი იყო სამთავროებად. სამთავროებს შორის ბრძოლას ემატებოდა ლეკთა თარეში, სპარსეთისა და ოსმალეთის გამუდმებული ლაშქრობები ქართველთა საბოლოოდ გასაულტად, საქართველოს დასამორჩილებლად. განსაკუთრებით უჭირდა ქართლ-კახეთს. ამ პერიოდმა უამრავი ხალხი შეიწირა. გადარჩენილი მოსახლეობა უფრო უსაფრთხო ადგილებში გარბოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ახლად ჩამოსახლებული ოსები მედგრად ებრძოდნენ ლეკებს, ამიტომ იყო, რომ მეფე ერეკლე მეორეც მათ დასახლებას ქართლის მთიანეთში ხელს არ უშლიდა, ამით საფუძველი ეყრებოდა ქართველ და ოს ხალხებს შორის მეგობრობას, ნათესაობას.

დასავლეთ საქართველოში ოსთა ჯგუფური დასახლება არც ძველად ყოფილა, არც ახლა გვაქვს, მხოლოდ გასულ საუკუნეში ჩვენი რაიონის სოფელ ლაილაშში ცხოვრობდა 10-მდე ოსი ოჯახი, ესენი იყვნენ ოქრომჭედლები, მეუნაგირეები და სხვა. ამათ შორის იყო გვარად კაბულოვები, რომლებიც დღეს კაბულაშვილებად იწოდებიან, აი, ამ გვარიდან იყო ცნობილი საბჭოთა მეცნიერი და გამომგონებელი კაბულოვი — სსრ კავშირში სამაცივრო საქმის ფუძემდებელი და ჟურნალ „ხალადნიაკის“ უცვლელი რედაქტორი.

ისტორიულად ლეჩხუმი ოსეთთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ აღსანიშნავია ჩვენს მიერ ამ ოცი წლის წინ სოფელ ზუბში ჩაწერილი თქმულება — სამეგრელოდან კუთხის მთით ზუბზე გამავალი გზა, რომელიც ახალჯალის მთებით სვანეთის სოფელ ბავარში ჩადის და იქედან ორი შტოთ ჩრდილო კავკასიაში გადადის — იწოდებოდა „ოსთა გზათო“. ეს უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის დროინდელი ოსებთან უძველესი სამიმოსვლო გზის ხალხური მეხსიერებით შემონახვის უნიკალური შემთხვევა.

ცნობილია, რომ ოსებსა და ქართველებს შორის, რომლებიც ძირითადად სამაჩაბლოს ტერიტორიაზე დასახლდნენ, ნამდვილი მეგობრული განწყობილება იყო. ბევრს ვიცნობ, რომელთაც დედა ოსი ყავს, მამა ქართველი და პირიქით, ბევრს მამა ოსი ყავს, დედა — ქართველი. არა მარტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, არამედ ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნიც ყოველთვის მეგობრულად იყვნენ განწყობილი ქართველებთან. ტერიტორიულად არაგვთარი, მტკვარა და შუდლი არ ყოფილა მათ შორის. დღეს დიდად გასაკვირია ვინ იწვევს ეროვნულ შუღლსა და მტრობას? ვინ რევს წყალს ამ ორ მეგობრულად განწყობილ ხალხს შორის? ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის გარეშე — გვასწავლის ვ. ი. ლენინი — მსოფლიო ვერ იარსებებს მშვიდად, რაკი მსოფლიო პოლიტიკის ღერძი ეროვნული საკითხია.

დღეს საქართველოში 170.000-მდე ოსი ცხოვრობს, მათ ნახევარზე მეტი — არა სამხრეთ ოსეთში, არამედ თბილისში, გორში და საქართველოს სხვა კუთხეებში. ქართველებსა და ოსებს შორის მუდრო ნათესაური ურთიერთობაა და ასეთ ვითარებაში „ადამონ ნიხასის“ საზოგადოების და არაკეთილმოსურნე ზოგიერთი ოსის ანტიქართული მოქმედება დასაგმობია. ამას გმობს არა მარტო ქართველები, არამედ საღად მოაზროვნე ყველა ოსი. მათ გონიერ აზრს ვუერთებთ ჩვენს აზრებს, რომ უმოკლეს დროში უნდა სრულყოფილად იქნას აღდგენილი ქართველი და ოსი ხალხის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც ვერ შეაფერხებს ერთეულთა აკვიატებული სურვილი.

ჯ. სალინაძე,
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

ვის აწყობს ჩვენს შორის მტრობა?

ოჯახი

ახალი წელი ფეხაკრეფით რომ მოადგება ოჯახის კარებს, მის მობრძანებას, შვილების დალოცვით ხვდება ხოლმე ქართველი დედა, ხმამაღლა კი არა — თავისთვის, ჩურჩულით შესთხოვს ყველა ამ ქვეყნიურ ძალას ჯანმრთელები და გახარებული მიმყოფეო ისინი.

წელსაც ასე დალოცა თავისი შვილები ზოგიშელმა ოში. ახალ წელს მერაბი და მამუკა ქუთაისიდან ამოვიდნენ, გოჩას და არსენას არდადეგები აქვთ, ბარტყებივით შემოისხამენ საახალწლო სუფრასთან მშობლები და იმედიანი მზერით დალოცავენ შვილებს. პირველ რიგში ერთმანეთს სიყვარულსა და გამრავლებას უსურვებენ. მერე როგორ საჭიროა დღეს ერთიც და მეორეც, ერთმანეთის სიყვარული და გამრავლებაც. შურით, ერთმანეთის გა-

ნუნუ ხვადაგიანმა. დასალოცი კი შვიდი ჰყავს — ხუთი ვაჟი და ორი გოგო: მერაბი, მამუკა, გიორგი, გოჩა, არსენი, მაია და მალვინა.

ამაზე მეტი სიმდიდრე ქვეყნად არაფერი ეგულვება ხვადაგიანების დიდ ოჯახს. ხუმრობა ხომ არ არის, ნუნუ ჯერ ხუთი ათეული წლისაც არაა და მრავალშვილიანი დედაა. ამ დღეებში მხოლოდ ერთი აქვს საფიქრალი დედას — ღმერთო, ჯანმრთელი დამიბრუნეო, გიორგი, რომელიც ორი თვეა სამხედრო სამსახურს იხდის. ამიტომაც აქვს ჯავრი. თავადვე იმშვიდებს თავს დედა, რა გაუჭირდებაო.

ქალიშვილებმა ოჯახები შექმნეს, მალვინა ორბელში ცხოვრობს, მაია — უსახელ-უტანლობით რამდენი კარგი საქმე ჩაშლილა ამ ქვეყნად, რამდენი ოჯახი გაუბედურებულა. კაცთმოყვარეობა ოჯახში შეძენილი სიმდიდრეა. ამ სიმდიდრეს კი ქალბატონი ნუნუ ბავშვობიდანვე საგზლად ატანს თავის შვილებს.

მარტო საოჯახო საქმეს რომ იყოს შეჭიდებული ნუნუ ხვადაგიანი, ისიც ეყოფა. მას ოჯახში დამხმარე არავინ ჰყავს. მაგრამ დიდი ოჯახის დედა შრომაშიც აქტიურად მონაწილეობს.

შვიდი ბედნიერების საუნთელი აინთება ხვადაგიანების ოჯახში ახალწლის ღამეს — ასეთი სანთლები ღმერთმა უმრავლოს ყველა ლეჩხუმელს, მთელ საქართველოს.

ბ. ბაქრაძე.

ჭერმაღალი და ფუძეძლიერი

რედაქციაში მშობელი მოვიდა

ბაღის რემონტი გვიანდება

რედაქციაში მოვიდა მშობელი, მოსამსახურე, რომელსაც ცაგერის №2 ბაგა-ბაღში ორი ბავშვი ჰყავს. მან გულისტკივილით გვითხრა, რომ 28 დეკემბერს მშობლებს გამოგვიცხადეს 2 იანვრამდე ბაღი არ იმუშავებს. 28-29-30 დეკემბერს გამიცდა სამსახური, 2 იანვარს მივიყვანე ბავშვები ბაღში, კიდევ არ მიიღეს, რემონტი არ დამთავრებულაო, მიცდება სამუშაო საპატიოდაც რომ ჩამითვალონ, განაცდენ ხელფასს ვინ მომცემს, რით ვარჩინო შვილები.

იმავე დღეს რედაქციის მუშაკები, განათლების განყოფილების წარმომადგენელთან ერთად ვეწვიეთ ბაგა-ბაღს, დაგვხვდა გამგე, აღმზრდელი მასწავლებლები, რემონტის ხელმძღვანელობისათვის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მიმაგრებული ინჟინერი ლ. ნემსწვერიძე და რამდენიმე ხელოსანი.

მდგომარეობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ გასულ ზაფხულსა და შემოდგომაზე ბაგა-ბაღი რამდენჯერმე არ მუშაობდა რემონტის გამო, მაგრამ იმ პერიოდში ვერ მოახერხეს წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სამუშაოების შესრულება, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენდა. რადგან ბაგა-ბაღის სამზარეულოსა და ცალკეულ ოთახებში მოძველებული მილებიდან წყალი გამოდიოდა, აივსო კანალიზაციის ჭა და შეექმნა აუტანელი მდგომარეობა. 28 დეკემბერს აღნიშნული სამუშაოების შესრულება დაიწყეს კოოპერატივ „სინათლის“ ხელოსნებმა, მაგრამ 2 იანვრისათვის არ მოხერხდა მუშაობის განახლება, რადგან როგორც ინჟინერმა ლ. ნემსწვერიძემ გაგვიმარტა, წყალგაყვანილობის ახალ მილებში რამდენიმე დღე უნდა იდიხოს წყალმა, რომ გასუფთავდესო, ამასთან დასამონტაჟებელია უნიტაზები, შესაძენი და დასამონტაჟებელია სამზარეულოში წყალგამაცხელებელი, გადასაწყვეტია კანალიზაციის მილების ცენტრალურ სისტემაზე მიერთების საკითხიო. ასე რომ, ერთი კვირა მაინცაა საჭირო, რომ ბაგა-ბაღმა მუშაობა განაახლოს.

საუბედუროდ, ერთი თვეა არც №1 ბაღი მუშაობს და 16 იანვრამდე არ იმუშავებს, რადგან იქ თავი იჩინა დაავადება „ჰეპატიტმა“ (ბოტკინი).

მართლაც რა უნდა ქნას ძმობელმა, არ მუშაობს არც ერთი და არც მეორე ბაღი.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაგა-ბაღის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. წელიწადის თითქმის ყველა დროს შენობის მთელი სარდაფი წყლითაა სავსე და პირველ სართულზე აუტანელი სინესტეა. მოსალოდნელია ბალავრის დაშლა, რაც შენობის დაშლას გამოიწვევს. აღნიშნულს სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს ბაგა-ბაღისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელები და დროულად მიიღონ ზომები მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ამასთან საჭიროა ყველა ზომის მიღება, რომ რემონტი სწრაფად დამთავრდეს.

ვლ. დავითულიანი.
ი. ხმელიძე.

წლევანდელ წელს ასტრახანის საცდელ-ექსპერიმენტული მექანიკური ქარხანა გამოუშვებს 550 ქარის ენერგიის დანადგარს. კონსტრუქციულად მარტივ და საკმაოდ საიმედო ექსპლოატაციაში ისინი უზრუნველყოფენ ვეოლოგებსა და მწყემსებს ელექტროენერგიით.

სურათზე: ამოწმებენ კონსტრუქციის მთლიანობას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ჩვენი საერთო სახლია საბჭოთა ქვეყანა

„სოიუზი“ — მაშასადამე, ერთად

ეროვნებათშორის ურთიერთობის პრობლემებს მიეძღვნება „სოიუზი“ — ბაზეთ „იზვესტიის“ ახალი ყოველკვირეული დამატება. მისი პირველი ნომერი გამოვა მომავალი წლის იანვარში. გამოცემას სათავეში ჩაუდგა 55 წლის გამოცდილი ჟურნალისტი, „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ლ. კ. კორნეშოვი.

— სათაური თვითონ მეტყველებს თავისთავზე — ამბობს ლევ კონსტანტინეს ძე. — „სოიუზი“ მკითხველებს მოუთხრობს ჩვენი საერთო სახლის — სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრების, მათი მრავალფეროვანი კულტურის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებათა შესახებ. გამოცემის თორმეტივე გვერდი გახდება სახალხო დეპუტატების, მეცნიერების, სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვათა ტრიბუნა, რომელთაც ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხები აღელვებთ.

თუმცა ეროვნებათშორისი კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების ყველაზე „მტკივნეული“ მხარეა, „სოიუზი“ მარტო მათი გაშუქებით არ შემოიფარგლება. „ცხელი წერტილების“ წარმოშობის მიზეზები არის გადაუჭრელი სოციალური პრობლემები, წარსულის ეროვნული პოლიტიკის სიმრუდე, ეკონომიკის „შავი ხვრელები“. ამიტომ რედაქციაში შექმნილია ეროვნებათშორისი ურთიერთობის, ეკონომიკის, სოციალური პრობლემების, კულტურის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის განყოფილებები. მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ ამ პრობლემათა გადაწყვეტის საზღვარგარეთული გამოცდილების შესახებ, მოამზადებს საერთაშორისო ცხოვრების განყოფილება.

ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემების გაშუქება მეტად რთულია, იგი დიდ ჟურნალისტურ გამოცდილებას მოითხოვს. რედაქციის თანამშრომლებსაც ამის მიხედვით ვარჩევთ. ქვეყნის რიგ რეგიონებში არსებული ეროვნებათშორისი დაძაბულობანი ერთი მოუფიქრებელი სიტყვითაც შეიძლება კონფლიქტად გადაიქცეს. ამიტომაც ეკისრებათ ჟურნალისტებს უდიდესი პასუხისგებლობა. ამ ჟანრის ყველა მათგანი თავის თითოეულ სიტყვაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი.

„სოიუზზე“ ხელმოწერა შეუზღუდავად შეიძლება კავშირგაბმულობის სამინისტროს ყოველ განყოფილებაში.

ვ. ზენკოვიჩი,

საკ.ესის კორ.

სიახლენი საპენსიო უზრუნველყოფაში

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: გთხოვთ გაგვიმარტოთ ახალ კანონში მომხდარ სიახლეთა შედეგად გაიზრდება თუ არა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების ოდენობა, კონკრეტულად პენსიონერთა რომელ კატეგორიას შეეხება პენსიების მომატება და რა დროიდან?

პასუხი: ომისა და შრომის ვეტერანთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი პირობების შემოღების, აგრეთვე ამ კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 1 აგვიტოს კანონის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან პენსიების მომატება შეეხოთ მოხუცებულობითა და ინვალიდობით პენსიონერებს, რომელთაც აქვთ სათანადო შრომის სტაჟი, მაგრამ იმის გამო, რომ გამომუშავება მცირე ჰქონდათ, პენსია დანიშნული აქვთ მინიმალური ან თვეში 70 მანეთზე ნაკლები ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული წესით მოხუცებულობის პენსია გაუდიდდათ მცირე პენსიის მქონე ყველა პენსიონერს, ხოლო ინვალიდობით მხოლოდ მათ, ვისთვისაც საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრულ ეტაპზე მე-3 ჯგუფის ინვალიდებისათვის პენსიის გადიდება არ არის გათვალისწინებული. მოხუცებულობით პენსიონერებს და მეორე ჯგუფის ინვალიდებს როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეო პენსიის მინიმალური ოდენობა გაუხდებათ 70 მანეთი, ხოლო პირველი ჯგუფის ინვალიდ პენსიონერებს — 85 მანეთი.

ბილოსკავი

ულოცავთ!

ბელა ბენიას ასულ საღინაძეს
როლანდ ვალიკოს ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, დაე ფუძეძლიერი, შვილმრავალი და ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი! ნუ მოგკლებოდეთ სიყვარულისა და მზის მადლი.

ნანი შენგელია, ნინო საღინაძე, აზა ხაბულიანი, თინათინ საღინაძე.

ბილოსკავი

საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს
ლენა ანტონის ასულ სვანიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას. ახალ წარმატებებს ვისურვებთ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი.

თალიკო აღექსანდრეს ასულ ყურაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას. ენერგია, ხალისი ნუ მოგკლებოდეთ მრავალ ახალ წელს!

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი.

მასწავლებელთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 9 იანვარს, დღით სამშაბათს 11 საათზე ცაგერის საშუალო სკოლაში გაიმართება რაიონის მასწავლებელთა საგნობრივი სექციების სხდომები.

სექციების სხდომებზე დასწრება სავალდებულოა.

განათლების განყოფილება.

მოსკოვში გაიხსნა ხალხური მედიცინის ცენტრი. ამგვარად ე. წ. არატრადიციული მედიცინის წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად და არა მალულად დაეხმარონ ადამიანებს ხალხში ოდითგანვე ცნობილი მეთოდებითა და საშუალებებით.

სამკურნალოდ რიგში ჩამდგართა რაოდენობამ რამდენიმე ათეულ ათასს მიაღწია.

სურათზე: ხალხური მკურნალი ალიხანოვი ატარებს მკურნალობის სეანსს.

საინტერესოა

აი, შეხვედრაც ამას ჰქვია

ზღვის გიგანტის გამოსახსნელად გაეშურნენ სარეწაო გემის მეთევზეები, რომლის კაპიტანია ვ. ნაუმენკო.

— დაახლოებით 18 მეტრი სიგრძის ვეშაპს შევხვდით, როცა ვუახლოვდებოდით კიბორჩხალების ხაფანგების რაიონს, — მოგვითხრობს იგი. — ჩვენ ვემზადებოდით მორიგი ჭერისათვის, როცა დავინახეთ წყლის ვეება შადრევანი, რომელიც ამოვარდა სასიგნალო ყერქეჭელასთან. ცხადი იყო, რომ ცხოველი ბადეში გაეხვია. მოწყობილობის ფრთხილი შერჩევით მეთევზეები მიუახლოვდნენ ვეშაპს და დაინახეს, რომ ბუსგვარლი ბადაში ჰქონდა გაჩხირული. ტრალმაისტერებმა ნ. ზოლოტარიოვმა და მ. რიაბინინმა მოისაზრეს, როგორ დაეხსნათ უიღბლო ზღვის მეუფე. დიდი რუდუნებით დაშალეს ბუსგვარლი და ცხოველი გაანთავისუფლეს. ამ არაჩვეულებრივი მხსნელი ოპერაციის სახსოვრად მათ დარჩათ გემის უფროსი მექანიკოსის მიერ გადაღებული ფოტოსურათები.

ვ. ციმგალოვი,

სევეროკურინსკი,

სახალინის ოლქი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ მაია და რამაზ მხეიძეებს მამისა და სიმამრის

თენგიზ კოსტავას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მიხა, მაზლი ანთიმოზი, შვილები იზო, ნიკო, გოგი, ვახტანგი, რძლები ვერა, ნუნუ, სიძე ჯემალ ტაბიძე, ძმა შოთა, დები შურა, ნინა, როზა, შვილიშვილები შმაგი, ჯონი, დათო, ლევანი, ლაშა, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, **რომ გარდაიცვალა**

ლუბა ანდრიას ასული ვაწაძე-მუშაკუდიანი.

დაკრძალვა 9 იანვარს, სამშაბათს, სოფ. ლასურიაში.

აკაკი, ლენა, ვალიკო მურცხვალაძეები, თემურ ჩორგოლიანი, გოგი მუშაკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკა ჯემალის ძე ყღენტი.

ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფაფალა მურცხვალაძეს შვილიშვილის

ნიკა ჯემალის ძე ყღენტის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 142, ინდექსი 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.